№ 207 1877—1898 № 207

შ აბათი, 26 სექტემბერი, 1898 წ.

ივერია

შაბათი, 26 სექტემბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, № 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 29 სექტემბერს.

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჯღირს 4 მან. 75 კაპ.

მისაღები ეგზამენები

ტფილისის საბალოსნო

სასწავლებელში

დანიშნულია 10 და 12 ოქტომბერს. მიღება იქმნება მხოლოდ მოსამზადებელ კლასში, მარტო პანსიონერებად. (3—142—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაპარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. შ ჩაქანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი ქალი. ა. ი. რუდენკო. 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11½—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაბეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

კგილის ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—2)

მთავრობის განკარგულებანი

—

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისისაკე თხოვნით ანდიჟან-ტაშკენტის რკინის გზის მე-VIII ნაწილის ფოსტალიონი ვლადიმერ სალარიძე.

ახალი ამბავი

—

*** მისაღები ეგზამენები ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში მოხდება 10 და 12 ოქტომბერს.

*** ღამეს, 26 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ, საოლქო შტაბის

შენობაში მოხდება რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. ამ კრებაზედ პროფესორი დოკუჩაევი წაიკითხავს მოხსენებას. კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** ტფილისის საგუბერნიო მკურნალი ბ-ნი ტ. ს. ქიქოძე მომავალ კვირას კახეთში აპირობს წასვლას სამკურნალო დაწესებულებათა სარევიზიოდ.

*** გუშინ-წინ, 24 სექტემბერს, ტეხნიკოსთა განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა ძმ. ნიკიტინთა ცირკის შენობა. კომისიამ აღმოაჩინა, რომ ცირკის შენობის ჭერი და კედლები ძალიან არის დაძველებული; საჭიროა, კომისიის აზრით, რომ მთელი შენობა ხელ-ახლა იქმნას შეკეთებული.

*** გაზ. „ახ. მიმ.“-ას პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: „კავკასიაში დაარსებულ იქმნება ორი საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი. ბატალ-პაშინის ნაწილის გამომძიებელი ვირშილლო დანიშნულ იქმნა ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგად.

აზრადა აქვთ ამ ზამთარს მოახდინონ სრულიად რუსეთის სოფლის-მეურნეთა კრება“.

*** გაზ. „ახ. მიმ.“-ას გორიდგან სწერენ, რომ უკვე შეუდგენენ გორის ხიდის შეკეთებასაო. ვიდრე მუშაობა არ დასრულდება, ხიდზედ გავლის ნებას არავის მისცემენ, მანამდე-კი აზრადა აქვთ მტკვარზედ ბორანი გამართონო.

*** „Тор. Пр. Газ.“-ი სწერს, რომ ჩაქვის საუფლისწულო მამულში უკვე შეუდგენენ ქარხნების შენობას ჩაის მოსამზადებლადაო. მანქანების სასყიდლად გაგზავნილ იქმნა გამგეს თანაშემწე სიმონსონი.

*** დ. სოჭასა და ტუაფსეში „ტფ. ფურ.“-ს სიტყვით, შემოღებულ იქმნება წელს მარტივი საქალაქო დებულება.

*** გაზ. „კავკას“-ის სიტყვით, საქართველოს საექსარხოსოს სამღვდელოების საჭიროებისათვის უწმ. სინოდის მიერ გადადებულ იქმნა 60 ათასი მანეთი. ამ ფულს სინოდის საქართველოს კანტორა გაჭირვებულ მრევლთა კრებულებს შორის გაანაწილებს.

*** გორის მაზრის სოფ. ქვიშხეთიდგან გაზეთ „კავკასს“ სწერენ, რომ პოლიციამ გაანთავისუფლა და უვნებლად ჩააბარა თავის დედ-მამას თამარი ყიფიანის ქალი, რომელიც ამას წინად ნევსაძემა და იმის ამხანაგებმა მოიტაცეს. ეს უკანასკნელნი პოლიციამ უკვე შეიპყრო და გორის საპყრობილეში დააპატიმრა. დავით ნევსაძე პოლიციის ბოქაულმა ტერაკოფოვმა შეიპყრო, დანარჩენნი-კი თვით გამოცხადდნენო.

*** ზუგდიდი. ზუგდიდის შუა ბაზარს ჩამოუდის პატარა მდინარე, რომლის ორივე ნაპირზედ გამწკრივებულია ხეები. როცა შემოდგომაზედ ამ ხეებს ფოთოლი გასცვივა, ამ ფოთოლს აქა-იქ აგროვებენ და გადატანა რომ არ დასჭირდეთ, იქვე უკიდებენ ცეცხლს და სწვავენ. ამისაგან ქალაქში სდგება კვამლი და ხშირად დილიდგან საღამომდე სულს გვიხუთავს. არ იქმნება ურიგო, ამ უწესოებას ყურადღება მიაქციოს, ვისგანაც ჯერ არს.

ერთი კვირა იქმნება, რაც აქეთკენ თბილი დარები სდგას, თითქმის ცხელა კიდეც.

*** სად. ალტაფა. სექტემბერმა სიცხეებით ზაფხულს გადააჭარბა. წელს ჭირნახულის მოსავალი კარგი იყო. სოფლიდგან ჩამოტანილ ქერის ფასმა აიწია: ფუთი 55—60 კაპ. ჰფასობს. ადგილობრივი ფქვილი 1 მ. 10 კ. და განჯისა—1 მ. 50კ. იყიდება ფუთი. დიდი შეტაკება და შეჯიბრებაა აქაურს ვაჭართა შორის; ყოველ დღე ფასს უმატებენ სოფლიდგან ჩამოტანილს ხორბალს. ერთი ფუთი კარგი ყურძენი 50 კაპ. ისყიდება. გამომცხვარის პურის მსყიდველნი ძლიერ ვემადლიერებით ბ-ნ ყაზახის ბოქაულს. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ჩვენ საცოდავ ბაზარზედ.

*** ტფილისის ჩარჩებმა ამ ბოლოს დროს ძალიან შეიყვარეს თეთრი დუქანი. ყოველ დღე ჩარჩები იქ იყრიან თავს და ქალაქში მომავალ სოფლელებისაგან ყიდულობენ სანოვაგეს. ამასთან ხანდისხან ძალასაც-კი ხმარობენ. გლეხ-კაცს შემოეხვევიან ხოლმე და იმდენს ეღიჯინებიან, ვიდრე ჩალის ფასად არ იყიდიან სანოვაგეს. საჭიროა სამაზრო პოლიციამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და აღუკრძალოს ჩარჩებს ქალაქგარედ სოფლელებისაგან სანოვაგეს სყიდვა.

*** ახალქალაქის ბანკის ტფილისის განყოფილების შემნახველ კასსაში შეცვლილ იქმნა კვირაობით ფულის მიღებისა და გაცემის საათები. 27 სექტემბრიდგან კვირაობით ფულს მიიღებენ და გასცემენ, დილის 10-დგან 12 საათამდე-კი არა, როგორც აქამდე იყო, არამედ ნაშუადღევის 12 საათიდგან 2 საათამდე.

საქართველოს მე-XIX საუკუნის ისტორია.

სამის წლის შემდეგ დადგება ხანა, რომელიც დაასრულებს ჩვენის ქვეყნის რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნის ისტორიის პირველ საუკუნეს; ეს საუკუნე გახლავთ ქართველ ერის ახალ ცხოვრების დასაწყისი. მერე როგორი სურათი იქნება, როგორი სახე ექმნება ამ ერთ საუკუნის, ამ პირველ ასი წლის მიმდინარეობას, ცალიერ ტილოზედ რომ დავხატოთ შესაფერ ფერადის საღებავებით? ტილოზედ ამას ჩვენ ვერ დავხატავთ, მაგრამ დაუხატველობაც ყოვლად შეუძლებელია!

ფელეტონი

ელეგია

—

გული მიტირის. ნეტამც შემეძლოს
გამობრუნება მე წარსულისა.
მიყვარს ყვავილი გაზაფხულისა...
ნეტამც მაჩვენა ჩემის გულისა.
მაგრამ რა ვპოვო დაკარგულისა?
წავიდნენ დღენი სიხარულისა,
ამოს ზედან დალეულისა.
ნეტამც მას წარსულს უკუ აქცევდეს
ჩემდამო აჯა სინანულისა.
ნეტამც წარსულზედ,
ფუჭად გავლილზედ
კვალი მაჩვენა ნაფეხარისა
და უდაბნოზედ
ხრიოკ, ურწყულზედ
ტურფა ყვავილი ნაცეცხლარისა,
რომ მისი მპყრობი მე ხელსა შინა
ადრე ვდგომოდი სამოთხის გზასა
და მაცხოვარი მეცნიერების
დავწაფებოდი სანატრელ ზღვასა,—
ეგები მაშინ, აწ ხმაგაკმენდილს
დაეწყო მოთქმა ჩანგსაც სხვა ჰანგზედ
და მგოსნის თქმული იმის ერსაცა
გამოეხატა სჯულის ფიცარზედ.
თორემ ცრემლს მაინც მრავალ-ტანჯულსა
ვინ შეაშრობდა მწუხარე თვალზედ?

ბაჩანა

წკიპურტი

ჩემი ჩამოსვლა და ოჩოპეტრიძესთან შეხვედრა.—ოჩოპეტრიძეს ვინაობა.—ახალი მოძღვრება და მისნი მიმდევარნი.—კუჭისტები.—„მარქსის გზა“.—ჩემის ნაცნობის მიერ განმარტება ახალის მოძღვრებისა.

მას შემდეგ, რაც მე და ჩემი წკიპურტი საჩრდილობელ-საგრილობელზედ ვიყავით და კამბეჩოვანსა სადმე, ვინ იცის, იქნება კალოზედაც-კი ვუსხედით, ან მარჯვე მონადირისაგან მოკლულს ქათმების მტერს ქორს ცნობის-მოყვარეობით თვალებსა და ბრჭყალებს ვუსინჯავდით, ვერ წარმოიდგენთ,

„ჩვენი დედა-ქალაქი რა რიგად გამოცვლილა,
ვერავის ვცნობ, ვერ მცნობენ, „მარქსისტებით“ ავსილა“!..

ეს ლექსი უნებურად გამახსენდა ამ სახით, ზაფხულს შემდეგ რომ ჩამოვედი ტფილისში და პირველად თავი გამოვყავი ქუჩაზედ. სულ რამდენიმე ნაბიჯი არ გამევლო, რომ წინ შემეხეჩა ჩემი კარგა ხნის ნაცნობი ოჩოპეტრიძე. ოჩოპეტრიძე ყმაწვილი კაცია, ასე 27—28 წლისა, მუშა, ღარიბი და მცირეოდნად მცოდნე წერა-კითხვისა, სწორედ ისეთი, როგორსაც რუსები „малограмотный“-ს უწოდებენ. ოჩოპეტრიძეს უყვარდა წიგნების კითხვა, რასაკვირველია, ქართულისა, რადგან რუსული სულ არ იცოდა,—და გაზეთს ატარებდა, თუ თეატრის განცხადებებს, აღარ მახსოვს. ის-კი ვიცი, რომ თითქმის მთელი დღე დადიოდა ქუჩებში და ათასში ერთხელ რედაქციაში შემომირბენინებდა ხოლმე ახალს ამბავს, რომ „ამა-და-ამ ქუჩაზედ მკვდარი კატა გდია და პოლიცია ყურადღებას არ აქცევს“, ან კიდევ „კონკის ცხენმა კუდი დაჰკარგა და ჯერაც ვერსად მიუგნიათ ქურდისათვისაო“. ოჩოპეტრიძე მორცხვი იყო, თავ-მდაბალი და გამგონე გონიერის რჩევისა. ასეთად ვიცნობდი თითქმის ხუთის, თუ ექვსის წლის განმავლობაში და მეცოდებოდა კიდეც, რადგან ხელ-მოკლე იყო და იმის ტანზედ დაუკერებელ ტან-ფეხთ საცმელი არ მინახავს.

შემხვდა ეხლა და გავვოცდი. ჩვენს ოჩოპეტრიძეს ხელთ უშველებელი როკოებიანი ჯოხი უჭირავს და სახე დაჭბრძენებია, ცხვირი ფიქრთა მრავალთაგან დაჭგრძელებია და სამოსელი უფრო დაჭველებია.

— გამარჯობა-მეთქი! შევძახე ჩვეულებრივად.

შედგა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მრისხანედ მითხრა:

— ჩვენ შორის საერთო არა არისრა. შენ ეროვნების მიმდევარი ხარ და მე „მარქსისტი“. შენ წარსულს მისტირი, „იდეალის“ ბურუსში ახვევ ყველაფერს და დავიწყებული გაქვს დიდებული ეკონომიური კანონი,—მე მშიან, შენ გშიან, იმას ჰშიან... კუჭი, გესმის თუ არა, კუჭი, ბრძოლა არსებობისათვის... ოო, დიდი რამ არის კუჭი!..

ამ ყოვლად მოულოდნელმა პასუხმა და უაზრო არახრახებამ სიტყვებისამ ისე გამაოცა, რომ პირველში ვიფიქრე, საბრალოს ალბად ჰშიან, სიმშილით გაოგნებულა-მეთქი და ჯიბისაკენ ვიტაცე ხელი. ამასობაში ოჩოპეტრიძე გაჩერდა და რამდენისამე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ისევე მომიბრუნდა:

ამ გარემოებას, ე. ი. სამის წლის შემდეგ ჩვენის ქვეყნის ახალ ცხოვრების პირველ საუკუნის შესრულებას, ყურადღება მიაქცია ტფილისის გამგეობამ, მაგრამ ქალაქს ფორმალურადა სურს იმ ღირს-შესანიშნავ ღღის აღნიშვნა.

ყურადღება ამ გარემოებას ჩვენმა საზოგადოებამაც უნდა მიაქციოს და შეჰქმნას ძეგლი, რომელიც ყველას ნათლად დაუსურათხატებს უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში ჩვენს ახალს გზა-ნიადაგზედ მსვლელობას. ეს ძეგლი უნდა შევქმნათ ბეჭდვითის სიტყვით და არა თლილის ქვით, ანუ რკინა-სპილენძით; ამ ძეგლის კეთებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა მთელმა მოწინავე დასმა საქართველოსამ. ეს ძეგლი უნდა იყოს მაჩვენებელი იმ სურათისა, რომლის დახატვა დაიწყო საკუთარ მმართველობის შეცვლამ და რომელსაც ერთის საუკუნის შემდეგ ჩვენ მივაწვდინეთ ძალი. სიტყვა რომ მეტად არ გავაგრძელოთ,—უნდა გამოვთქვათ, რა გვქონდა და რა ვიყავით, როდესაც რუსეთს შევუერთდით, რა მოხდა ჩვენში, ჩვენს საზოგადოებაში, მოწინავე დასში დღემდის და დღეს რა ვართ, რას წარმოვადგენთ, რა გვაქვს. ყოველივე ეს შეიძლება ვრცლად გამოვთქვათ კრებულში უთუოდ საერთო შრომით. ზემოხსენებული კრებული დანაწილებული უნდა იყოს რამდენსამე განყოფილებად, მაგალითად: ეკონომიური, საზოგადოებრივი, ლიტერატურული და სხვ. ცალ-ცალკე თითი განყოფილება კიდევ რავდენსამე ნაწილად შეიძლება გაინაწილოს. თითო ნაწილს იკისრებს ისეთი ადამიანი (რაც საჯაროდ უნდა იქმნას გამოცხადებული), რომელსაც მართლადა ღირსეულად შეუძლიან შეასრულოს ნაკისრი შრომა, როგორც, მაგალითად, სალიტერატურო განყოფილების აღება პატივცემულს ალ. ხახანაშვილს უნდა დაევალოს, ჩემის აზრით. ახლო მომავალში დაარსებულ უნდა იქმნას სარედაქციო კომისია, რომელშიაც წევრად უნდა ითვლებოდნენ უტყუარ სწავლით აღჭურვილნი კაცნი, (ლიტერატურის კარგად, ზედ მიწევნით მცოდნენი, სოციალურ მეცნიერებისა, ეკონომიისა და სხვ.)

ასეთი კომისია შეერთებულის ძალით შეიმუშავებს პროგრამმას კრებულისას და გამოაქვეყნებს საყოველთაოდ. ყოველგვარი „საკრებულო“ შრომაც ამათ სახელზედ უნდა იგზავნებოდეს. კომისიის წინასწარ მუშაობის მიუხედავად, ყველა გონება გახსნილს ქართველს ბეჭდვით შეეძლება თავისი აზრი წარმოსთქვას კრებულის შესახებ.

რაც შეეხება იმას, თუ გამოცემა კრებულისა ვინ უნდა იკისროს, ეს მომავალის საქმეა, მაგრამ, ჩემის აზრით—ხელ მოწერით რომ იყოს, კარგი იქნება. კრებული მეტად ძვირფასი და სასარგებლო გამოცემა უნდა იყოს, ყველა შრომას თან უნდა ახლდეს ავტორის სურათი, სურათები ამ საუკუნის განმავლობაში მყოფ ჩვენის შესანიშნავ მოღვაწეებისა, კრებულში მოთავ'ებული უნდა იყოს აგრეთვე ნიმუშები ეხლანდელ ჩვენ მწერლების თხზულებათა, აგრეთვე ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა სურათები და სხვა.

შეიძლება სთქვან, ჯერ ამის შესახებ ლაპარაკი ადრეაო, მაგრამ ეს ძნელი საქმე სამის წლის ვადას ითხოვს კიდეც. დარწმუნებული ვარ, ეს აზრი არ დარჩება ხმად მდაღადებლისად უდაბნოსა შინა.

მალაქია ბოლქვაძე

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. მიქელ-გაბრიელი, (გურია). „სულ არარაობას ცალ უღელი სარი სჯობია“-ო, იტყვიან. ამ ანდაზის იმედი მაქვს, თორემ სულ არაფერს ვიტყოდი: ამბავი რომ დამეკლდება, მერე რადა საგაზეთო არის, მაგრამ ხანდახან ძველი ამბავიც საინტერესო ყოფილა. ჩვენს სოფელში ხან ისეთი ახალი ამბებიც მინახავს, რომელთა სათაგე ძალიან ძველია; ხშირად ეს ამბები ძველის სატკივარის შედეგია; მეწუხი რაც უფრო ადრე გამოირწყვება, მით უკეთესია; ასეთის ამბების საგაზეთოდ გატანაც მეწუხის გამორწყვას ჰგავს. სწორედ ეს მაბედვინებს ხანდა ხან ცალის თვალით მაინც მიეხედო ჩემის სოფლისკენ და მკითხველს იმისი მ სოფლად არსებობა მოვაგონო. ჰოო... შეკრი ორონტრიალის მნახველია ჩემი სოფელი; მისი წყალი, ჩემი კურთხეული სეფა, ხან აღმა მიდის

— მეტად უცნაურს და თითქმის დაუჯერებელ ამბავს იუწყება კაზ. „Свѣтъ“ ის კოვნელი კორესპონდენტი. „ქალაქ კოვნის მცხოვრებელნი დიდად აღელვდა და აღაშფოთა თურმე ერთმა არა-ჩვეულებრივმა მოვლენამ დღეს კოვნაში ყველას, დიდისა და პატარის, წარჩინებულისა და უბრალო მუშის სალაპარაკოდ გამხდარა რომის-კათოლიკეთა წმ. ჯვრის ეკლესიის ქსენძი (მღვდელი) ალექსანდრე ბელიაკოვი და იმის მიერ ჩადენილი საქმეები. დიდი ხანია ქალაქში ხმები დადიოდა, რომ ხსენებულ ეკლესიის ქვეშ დიდი საიდუმლო სარდაფებია გამართული, სადაც ქსენძი ბელიაკოვი ამწუვდევს და აწვალებს თავისის მრევლის იმ წევრთ, რომელნიც რუსებსა და მართლმადიდებელთ უახლოვდებიან და რაიმე საქმეს იჭერენ იმათთანა. როგორც პოლიციამ აღმოაჩინა, ეს ხმები მართალი გამოდგა. ბელიაკოვი ისევე ეძცოდა თურმე სარდაფში დამწყვდეულთ, როგორც საშუალო საუკუნოების ინკვიზიტორები ეძცოდნენ თავიანთ მსხვერპლებს. სარდაფში შენახული ჭქონია სხვა-და-სხვა იარაღი, თოკები, რომელითაც იგი აწვალებდა თურმე საწყლებს. ბნელი სარდაფები კუბოებითა და კატის ძვლებით ყოფილა სავსე, ასე რომ მარტო იქ შესვლაც კი კაცს შიშის ზარს დასცემს.

როგორც უკვე გოქვით, ამის შესახებ ხმები კარგა ხანია დადიოდა, მაგრამ ეურადღებას არავინ აქცევდა. არავის არა სჯერდა, რომ განათლებულს ქალაქში, განათლებულ კაცს ასეთი საინკვიზიტორო საქმეები ჩადინა, მაგრამ, აი, 17 აგვისტოს ხმა სინამდვილედ გარდაიქცა. ამ დღეს პოლიციის მოხელეს ავდეევთან მივიდა დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსით, ნაცემი და შეშინებული ქალი ეკა ბერნატოვიჩი და გამოუცხადა: 15 აგვისტოს ჩემს ბინაზედ მოვიდა ქზენძი ბელიაკოვიჩი ორის მოსამსახურითურო, ძალით ჩამსვა კუტში და წმ. ჯვრის ეკლესიაში წამიყვანა. იქ საკურთხეველში საიდუმლო კარი გაიღო და ბნელს, ნოტიო სარდაფში შემაგდო. ტოტა ხანს უკან თვით ქსენძი მოვიდა, რადაც ჯოხები და თოკები მოიტანა და იმითი დამწყო ცემა და წკალებ. იქამდის მცემა, ვიდრე გული შემიღონდებოდა. როდესაც გონს მოვედი, ბელიაკოვიჩმა ხელახლად დამიწყო ცემა. ასეთ წვალებაში ორი დღე და ღამე ვიყავი. სარდაფი

— რა არის თქვენი კოდება?!. საშობლოს სიყვარული, ქართული ენა და... დევნა ვითომ-და ხალხის მძარცველებისა, მევახშეებისა, ხალხის გამაღარიბლებისა... აბა მიპასუხე: რა არის ენა, თუ არ არის კუჭიო?... სასტიკის კილოთი შემომეკითხა ოჩოპეტრიძე და შეჩერდა.

ამ შეკითხვამ ისე დამაბნია, რომ ალარ ვიცოდი, რა მეთქვა. შევცქეროდი ამ უცნაურს „მარქსისტსა“ თუ „კუჭისტს“ და არ მესმოდა, რა დამოკიდებულება არსებობს ენასა და კუჭს შორის. ბოლოს ის იყო პირი დავაღე, რომ რაღაცა მეთქვა, მაგრამ ოჩოპეტრიძემ ალარ დამაცალა.

— დიაღ, კუჭია, რაც არის. მე ჭამა მინდა, შენც გინდა ჭამა, იმასაც უნდა ჭამა, სულ აქედგან მოდის, აქედგან იწყება და აქ თავდება. ენა მოისპობა, მაგრამ კუჭს-კი საუკუნო არსებობა უწერია. რამდენიც გალარიბდება ხალხი, იმდენი უკეთესია. როდესაც იმასაც დაჭკარგავს, რაცა აქვს, როდესაც სულ ალარაფერი ექმნება, მაშინ კუჭის ძალ-დატანებით იგი შეიძენს და „კაპიტალისტი“ გახდება. რაც უარესია, ის უკეთესია...

აქ-კი ველარ მოვითმინე და შევძახე:

— მაშ ეგ დაკერებული ტანთ-საცმელ ფეხთ-საცმელიც მოიშორე, გადაჭყარე და უცბად ახალს შეიძენ, უფრო უკეთესია-მეთქი, მაგრამ იმან ყურიც არ მათხოვა.

— არა, არ გესმით... წოდებრივი ბრძოლა, ეკონომიური დამოკიდებულება, მარქსის „კაპიტალი“, პოლიტიკო-ეკონომია, მატერიალიზმი, ბრძოლა არსებობისათვის, მიზეზთა მიზეზი—კუჭი, მუშათა დასი, საფაბრიკო წარმოებაო... დამაყარა ჯორის ტლინკებსავით ოჩოპეტრიძემ: დიაღ, ჩვენს შორის საერთო ალარა არის-რა, მე ეხლა მარქსის გზას მივდევო! მომიჭრა ბოლოს მოკლედ სიტყვა და ტალახის ქუჩისაკენ შეუხვია.

ვიდექი ერთს ადგილას გაქვავებული და გაოცებულ-გაოგნებული შევცქეროდი ამ „მარქსის გზით“ მიმავალს. ბიჭოს, ჯერ წინად რა იყო ჩვენ შორის საერთო, იმის მეტი, რომ „ამა-და-ამ ქუჩაზედ მკვდარი კატა გდიაო“, ვფიქრობდი, და ეხლა, როდესაც სულ ერთიანად შერეკილა, რა იქნება საერთო-მეთქი? ვის გადაურევია, მაგას ცირკის მასხარას მაქსის ათასჯერ დაღეჭილ-გადაღეჭილ ოხუჯობის მიხვედრაც არ შეეძლო და მარქსის „კაპიტალი“ ვინ წააკითხა, ან აგრე უკულმართად როგორ წააკითხა მეთქი?

ბოლოს შემხვდა ერთი ჩემი ნაცნობი და იმას შევეკითხე:

— კაცო, ეს რა დაგმართვიათ, რა არის „მშიან, გშიან, ჭშიან“, „მიზეზთა მიზეზი კუჭიაო“ და სხ.

გაეცინა.

— როდის ჩამოხვედიო? მკითხა.

ალბად „ჩვენებური მარქსისტთაგანი“ შეგხვდებოდა ვინმე.

— როგორ თუ „მარქსისტთაგანი“, განა რამდენია?

— ბევრნი არიან. დადიან მთელი დღე ერთად და, იმათებურად რომ ვთქვა, „მიტინგებსა“ ჰმართავენ და „პეტიციებსა“ სწერენ. მარქსისტებს უწოდებენ თავისს თავს და იმ მოძღვრებას მისდევენ, რომ მთელი ქვეყნიერება და ყოველი მისი მოვლენა ეკონომიურს ვითარებაზედ ტრიალებსო. ყველა მიზეზთა მიზეზად „კუჭს“, არსებობისათვის ბრძოლას ასახელებენ.

— მერე წაუკითხავთ-კი მარქსი?

— თითო ოროლას იქნება წაუკითხავს კიდეც და გზა ვერ გაუგნევია, შიგ დახლართულა, უმეტესობა-კი ამ თითო ოროლას ფეხის ხმას მისდევს და თავი „მეცნიერებად“ მოაქვთ. ეგ ახალი ხილია, ჩვენთვის, რასაკვირველია. მაგათ რომ ჰკითხო, ყველა საკითხი და საგანი საზოგადოებრივი, კერძო და სახელმწიფო და ზნეობრივიც-კი ახალის თეორიით ადვილად აიხსნებ-განიმარტება. არსებობს მხოლოდ ეკონომიური ვითარება და მარქსია მისი წინასწარმეტყველი. განათლებულს საზოგადოებაში ასეთი აზრი ბავშვის ტიტინად იქმნებოდა ჩათვლილი, ჩვენ შიკი ბევრს „რაღაცად“ და „რაცხად“ ჰგონია „კუჭისტების“ გზა-კვალ დაბნეული ლაპარაკი.

ამითი განვშორდით მე და ჩემი ნაცნობი ერთმანეთს. მას შემდეგ ისე ვერ გავივლი ხოლმე ტალახის ქუჩაზედ, რომ „მარქსის გზა“ არ მომაგონდეს და საბრალო ოჩოპეტრიძე არ გამახსენდეს.. ძნელია, მართლაც, სუსტის კუჭისათვის მაგარის საჭმლის ატანა... ნეტა რომელ სულის მტერს უჭმევია ოჩოპეტრიძესათვის ეს მძიმე და ძნელად მოსანელებელი საჭმელი?!.

ჩიორა

რუსეთი

—

გაზ. „Рус. Вѣд.“-ის სიტყვით, აზრადა აქვთ ქ. იაროსლავში ახალი გაზეთი გამოსცენ. გაზეთს სახელად „Сѣверный Край“ ეწოდება. მთავრობამ უკვე ნება დართო ამ გაზეთის გამოცემისა. გაზ. „Курьеръ“-ი იუწყება კიდევ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო შემდეგი ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემისაო: პეტერბურგში — ჟურნალის „Всемірное Техническое Обозрѣніе“-სა, გაზეთების: „Русскій Туристъ“-სა, „Право“-სი და „Грузовой Листокъ“-ისა, მოსკოვში—ჟურნალის „Одонтологическое Обозрѣніе“-სი და „Вѣра и Церковь“-ისა, კიშინიოვში—„Вѣд. Кишиневской думы“-სა, ვარშავასა, ვალმარსა და ვლადივოსტოკში, სამსავე ქალაქში —„Листокъ Объявленій“-ებისა.

— მომავალის წლის ზაფხულიდგან კნ. მ. კ. ტენიშევისას აზრადა აქვს დააარსოს ქ. სმოლენსკის მახლობლად სასოფლო სამეურნეო კურსები ინტელიგენტ ქალთათვის. კურსებთან პანსიონიც იქმნება გამართული.

ლსაც თავი სისა ჭქონდა გაკეთებული დიდის რქებითა და ეურებით. ამბობენ, რომ ხანდასან სარდაფში „ანგელოზებიც“ გაჩნდებოდნენ ხოლმეო, მაგრამ ეს „ანგელოზები“ ვერსად იპოვნეს.

„ქსენიის დაპატიმრების ამბავმა მთელი ალიაქოთი და აურ-ზაური გამოიწვია კათოლიკეთა შორის. განსაკუთრებით აღელვებულნი იყვნენ რუსების წინააღმდეგ ქალები. როდესაც პოლიცია და ბრალმდებელი სარდაფს ათვალიერებდნენ, ეკეკლესიასთან აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ჯარმა ძლივს შეიკავა ბრბო. ხალხი გაიძახოდა, რომ ტყუილად დაპატიმრეს ქსენია, იგი სარწმუნოებისათვის ტანჯულიაო და სხვა. ხალხმა ისიც-კი მოიწადინა, რომ პოლიციისთვის ქვები დაეშინა. ბეკრმა ქსენიის დაპატიმრების გამო სამგლოვიარო ტანისამოსი ჩაიცვა. ამ მოსამსახურეებმა, რომელნიც რუსებთან იყვნენ, სამსახურს თავი დანებეს“.

ამ საქმის გამო გამოძიება უკვე დაწყებულია.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. საფრანგეთის პარლამენტის სხვა და-სხვა დასის 130 დეპუტატს კრება ჰქონია და დიდი წინააღმდეგობა გამოუცხადებია სამინისტროსათვის დრეიფუსის საქმის გამო. კრებას 12 კაცი გაუგზავნია პრეზიდენტ ფორთან სათხოვნელად, რომ დაუყოვნებლივ პარლამენტს მოუწოდონ. დეპუტაციას, კრების მინდობილებით, თავისის თხოვნის საბუთად პრეზიდენტისათვის შემდეგი უთქვამს: პარლამენტმა ბრისონის სამინისტროს ნდობა იმიტომ გამოუცხადა, რომ იგი პარლამენტს გადაჭრით შეჰპირდა—დრეიფუსის საქმის გადასინჯვის წინააღმდეგი ვიქნებიო; მაგრამ სამინისტრომ თავისი დანაპირები არ შეასრულა და სულ წინააღმდეგ მოიქცაო. ამასთანავე სამინისტრომ ამ საქმეს იურიდიული ხასიათი-კი არ მისცა, არამედ პოლიტიკურიო. გარდა ამისა სამსახურს სამმა მინისტრმა დაანება თავი, რომელნიც საქმის ასეთის მიმართულების წინააღმდეგი იყვნენ და ეხლა სამინისტრო მაინც უნდა შეჰკითხოდა პარლამენტს და მისი აზრი გაეგო, თუ წინანდელ გარდაწყვეტილების წინააღმდეგ უნდოდა მოქმედებაო. მთავრობის ასეთი საქციელი დეპუტაციას ერის უფლებათა დასამცირებლად და კონსტიტუციის უარ-ყოფად მიაჩნია. დეპუტაციის ფიქრით სამინისტრომ ძირი გამოუთხარა სამხედრო დისციპლინას და ჯარს ნდობა და პატივი დაუკარგა.

— ამას წინად ერთმა ინგლისურმა გაზეთმა ხმა გაავრცელა, რომ ვითომც ესტერგაზს ეთქვას,—ცნობილს ხელთნაწერში (ბორდერო), საცა ნათქვამია, რომ „ეს არამზა და დ. ერთობ ბევრს თხოულობსო“. რომელიც უმთავრესს გამამტყუვნებელს საბუთს შეადგენდა დრეიფუსის წინააღმდეგ, ასო „დ.“ დრეიფუსსკი არ ნიშნავს, არამედ ქალაქ ნიცის ვიღაც მოიჯარადრეს დოლფუსო.

ეხლა შარლ დოლფუსი გაზ. „Temps“-ში აცხადებს, რომ ნიცცაში მოიჯარადრე დოლფუსი არავინ არის და არც ყოფილა და არც არაოდეს დოლფუსებს საიჯარადრო საქმე არა ჰქონიათო.

— დრეიფუსის მომხრეები ძლიერ ნაღვლობენ, რომ საკასაციო სასამართლო ერთობ აჭიანურებს თავის აზრის გამოთქმას დრეიფუსის საქმის შესახებ. მათის აზრით, სასამართლომ კიდევაც რომ დაადგინოს საქმის გადასინჯვა, ეს საქმე იანვარზედ ადრე არ გაირჩევა. მაგრამ საქმე ის არის, რომ პარლამენტის მოწოდებისთანავე ბრისონის სამინისტრო უთუოდ დაეცემაო, ჰფიქრობენ დრეიფუსის მომხრეები. ერთს მინისტრს, ბ-ნს ვიჟეს, როცა შეეკითხენ, რატომ სამსახურს თავს არ ანებებ, რა-კი დრეიფუსის საქმის გადასინჯვის წინააღმდეგი ხარო, ვითომც ეთქვას:

— არა ჰლირს. სულ ერთია, ორი-სამი კვირის განმავლობაში სამინისტრო მაინც დაეცემაო.

ახალი სამინისტრო, დრეიფუსის მომხრეების ფიქრით, დაწყებულს საქმეს ვერ შეაჩერებს, მაგრამ საკასაციო სასამართლოს კარგად ეცოდინება, როგორს მთავრობასთან აქვს საქმე. ამის გამო სასამართლო საქმეს ისეთს მიმართულებას მისცემს, როგორსაც მთავრობა მოიწადინებსო.

— საკასაციო სასამართლომ თუ დრეიფუსის საქმის გადასინჯვა მოიწადინა, ეს საქმე საჯაროდ იქმნება განხილული. გარდა ამისა 1826 წ. 15 იანვარს გამოცემულ კანონის 37 მუხლის ძალით დრეიფუსი ლაპარაკის ნებას მოითხოვს, რასაც სასამართლო შეიწყნარებს. ყოველივე ეს ძლიერ აღონებს საფრანგეთის მთავარს შტაბს, რადგან ამ დროს, შეიძლება, ბევრი ისეთი რამ გამოაშკარავდეს, რომელიც ჩირქს მოსცხებს ბევრს წარჩინებულს მოღვაწეს.

—

გერმანია. უკვე ცნობილია, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი პალესტინაში აპირებს მოგზაურობას. მეფის ამალის ერთი ნაწილი, 90 კაცამდე, კიდევაც გაუსტუმრებიათ გზაში. იმპერატორის წაბრძანების დრო რაც უფრო ახლოვდება, გერმანიის გაზეთებმა მით უფრო მოუხშირეს წერას იმის შესახებ, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამ მოგზაურობას. მათის სიტყვით, გერმანიასა და ოსმალეთს შორის მჭიდრო მეგობრული კავშირი არსებობს და ეს მოგზაურობა უფრო მეტად განამტკიცებს მათს ერთი მეორესთან კეთილს განწყობილებას.

—

საბერძნეთი- ათინიდგან ატყობინებენ გაზ. „Temps“-ს, რომ აქაურ აფიცერთა შორის სურვილი არის აღძრული ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილს სთხოვონ, რომ მან ითავოს სამხედრო უწყებაში ცვლილებათა შემოღება და შეადგინოს საბჭო, რომელშიაც ყველა აფიცერს ჰქონდეს შესვლის ნებაო. გაზეთი ჰფიქრობს, რომ ეს მოძრაობა სამხედრო მინისტრის წინააღმდეგ არის გამოწვეულიო.

—

ჩინეთი, შანხაიდგან იუწყებიან, რომ ევროპის ხმელეთის ყველა სახელმწიფომ კანონიერად აღიარა ჩინეთის დედოფლის მთავრობაო. ხოლო ინგლისს, შეერთებულ შტატებს და იაპონიას აზრად აქვთ ახალი მთავრობა კანონიერად არ იცნან, რადგან ვითომც იმას ძალდატანებით ჩაეგდოს ქვეყნის მართვა-გამგეობა ხელშიო. წინანდებურად არავინ იცის, ბოგდიხანი ჯერ კიდევ ცოცხალია, თუ მოკვდაო. პროგრესის მომხრე ყველა ჩინელი სასტიკად იდევნებიან დედოფლის მიერ, რომელსაც აზრად აქვს იმათი აღმოფხვრაო. ლი-ხუნგ-ჩანის სახლობა ვერ დაენდო ხალხს და პორტ-არტურში გადასახლდა, საცა რუსეთის ფლოტის მფარველობის ქვეშ იქმნებაო.

სასამართლოს მატიანე

(შემდეგი *)

ბ-ნმა სოლოვცევმა ასე განაგრძო ლაპარაკი სასამართლოში:

1896 წლის თებერვლის გასულს ჩემი ცოლი ჩემისავე თანხმობით პეტერბურგში წავიდა, რომ ჩემთვის სამოქალაქო რამ სამსახური ეშოვნა. თითონ მე წასვლა არ შემეძლო და ცოლს წასვლის ნება მივეცი. პირველად ცოლისაგან წერილები მომდიოდა, მაგრამ მერე ამ წერილების გზავნა შეწყდა. ჯერ ვიფიქრე, ეს ჩემის ცოლის დაუდევრობის მიზეზი იქმნება მეთქი, მაგრამ როდესაც ერთი ჩემი წერილი უკან მომივიდა პეტერბურგიდგან, რომელზედაც ეწერა, თქვენმა მეუღლემ ბინა გამოიცვალაო, მაშინ მე თითონ წავედი პეტერბურგში და მივედი იქ 25 თუ 26 აპრილს და იქ შევიტყე, რომ ჩემი ცოლი 13 აპრილს რიგაში წასულა. იმ წამსვე რიგაში წავედი და იქ შევიტყე ჩემის ცოლის მახლობელ ნათესავისაგან, რომ მეუღლე ჩემი რიგაში მისულა 14 აპრილს, რამდენსამე საათს დარჩენილა იქა და შემდეგ საზღვარ გარედ წასულა, სახელდობრ რომელ ადგილს, ეს არ ვიციო, დაუმატა. მე დაუყოვნებლივ პეტრბურგში დავბრუნდი, დავიბარე მამაჩემი ბათუმიდგან და შევიტყე, რომ ჩემი ცოლი პეტერბურგში მოსვლის უმალვე დამდგარა ქ-ნ პტაშკანის სასტუმროში და იმასთანავე ერთად მდგარა ვიღაც მარიამ ბელოდერნოვისა. აი რა მითხრეს ამ დედაკაცებმა და შემდეგ მამა ჩემსაც აუწყეს. პირველად თქვენმა ცოლმა რომ ოთახი დაიქირავა ქ-ნ პტაშკინის სასტუმროში, ასე ამბობდა, ჩემს ნათესავს ველოდებიო. ბოლოს ეს ნათესავიც მოვიდა, რომელიც თავადი ვაჩნაძე ყოფილა. მათ შორის ისეთი დამოკიდებულება დაარსდა, როა ქ-ნ პტაშკინისას და ბელოდერნოვისას ჩემი ცოლი თავ. ვაჩნაძის საყვარლად მიაჩნდათ. ქ-ნმა პტაშკინისამ მითხრა, რამდენჯერმე მინდოდა თქვენის ცოლის დათხოვნა სახლიდგან, რადგან ქალიშვილი მყავს მოზრდილი, მაგრამ ბელოდერნოვისამ მთხოვა თვის გასვლამდე დაგვიცადეო, მაშინ ქ-ნი სოლოვცევისა სამზღვარ გარედ წავა, სადაც ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის შემდეგ თავ. ვაჩნაძეც უნდა წავიდესო. 8 თუ 9 მარტს ჩემი ცოლი და თავ. ვაჩნაძე სასტუმროს ერთს ოთახში დასახლდნენ. აქედგან ჩემი ცოლი სხვის პასპორტით საზღვარ-გარედ გაიქცა და თავ. ვაჩნაძე მოსკოვში წავიდა ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად. ყოველივე ეს გარემოება მტკიცდება პოლიციისა და სასამართლოს პროტოკოლების პირით, რომელიც მეთითონ გადავწერე პეტერბურგის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ნება-რთვით. როგორც პატარა იტალიის ქუჩაზე, ისე სასტუმროშიაც ჩემი ცოლი და თავ ვაჩნაძე თავისს ერთმანეთან კავშირს არა ჰმალავდნენ. ამ გვარად, თავ. ვაჩნაძემ, რომელიც თითქმის ერთი-ორად უფროსი იყო ჩემს ცოლზედ (იგი 40 წლისაა და ჩემი ცოლი-კი 21-სა იყო იმ დროს) და რომელსაც ცოლი და ხუთი შვილი ჰყავდა, არა თუ მარტო გარყვნა ჩემი ცოლი, არამედ იგივე თავ. ვაჩნაძე ყველგან აქვეყნებდა, ეს ქალი ჩემი საყვარელიაო და გარდა ამისა მანვე ხელი მოუმართა ჩემს ცოლს, რომ საზღვარ გარედ გაქცეულიყო. რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის ჩემს ოჯახს და ცოლს, ამას იმ წერილიდგან გაიგებთ, რომელიც ჩემს მეუღლეს მივწერე საზღვარ გარედ, როცა იმისი ადრესი შევიტყე. ეს წერილი ჩემს ცოლს არ მიულია, რადგანაც ჟანდარმის პოლკოვნიკმა ფეოდოროვმა გახსნა. ყოველივე ეს გამოიძია მისის უდიდებულესობის იმ კანცელარიამ, რომელიც განაგებს მისის უდიდებულესობის სახელზედ წარგზავნილ წერილების განხილვის საქმეს. მაშასადამე, თავ. ვაჩნაძე, რომელმაც კარგად იცოდა, რა შეურაცხება მომაყენა მე, ვალდებული იყო დავეკმაყოფილებინე იმ წესით, რომელიც მიღებულია ჩვენს ჯარში უმაღლესის ბრძანებით ე. ი. ხმალში უნდა გამოსულიყო ჩემთან. შევიტყე რა, რომ თავ. ვაჩნაძე მოსკოვშია, იმ წამსვე დეპეშით ხმალში გამოვიწვიე და თან დავსძინე, რომ მე ყველაფერი ვიცი. ამის პასუხად მომივიდა ეპისტოლე, დაწერილი სასახლის პოლიციის უფროსის ბლანკზე 1896 წლის 5 მაისის თარიღით. აი ამ წერილის შინაარსი: „მოწყალეო ხელმწიფევ, ივანე ალექსანდრეს ძევ! მივიღე თქვენი დეპეშა, რომელმაც მე ძლიერ გამაკვირვა და რომელიც სრულიად არ მესმის: რა შეიტყეთ? ამის გამოსარკვევად საჭიროა ერთმანეთთან მოვილაპარაკოთ. მე ეხლა სამსახურისა გამო არსად წასვლა არ შემიძლიან და ამიტომ, თუ თქვენ შეგიძლიანთ მოსვლა, მობრძანდით მოსკოვში. მზად ვარ თქვენის სამსახურისათვის, თავ. ვაჩნაძე“. ეს წერილი კიდევ ერთი ახალი შეურაცხება იყო ჩემი, რადგანაც ამ დროს მე უკვე წამაკითხეს პოლიციის ოქმები ქალაქის უფროსის კანცელარიაში. მე ვუპასუხე თავ. ვაჩნაძეს, რომ არავითარი მოლაპარაკება იმასთან არა მსურს და პირდაპირ ხმალში ვიწვევ. ამაზედ დეპეშითვე კადნიერებით სავსე პასუხი მომივიდა თავ. ვაჩნაძისაგან, რომელიც მწერდა, მაინც არ მესმის, ხმალში რად მიწვევთო და თქვენგან სეკუნდანტებს ველიო. მე წავედი მოსკოვში და ავირჩიე სეკუნდანტად ჩემი ამხანაგი შტაბს-კაპიტანი მიხეილის ციხის არტილერიისა აგაბეკოვი. მეორე სეკუნდანტად უნდა ყოფილიყო მამა ჩემი, რომელსაც დღე დღეზედ მოველოდი მოსკოვში. როდესაც ჩემი სეკუნდანტები მოსალაპარაკებლად მივიდნენ ვაჩნაძის სეკუნდანტებთან, იმათ ისეთი საბუთები მოსთხოვეს, რომელიც მხოლოდ სასამართლოსა ან კონსისტორიისათვის იყო საჭირო. ამაზედ მამაჩემმა და ჩემმა სეკუნდანტმა უპასუხეს, რომ ხმალში გამოსვლა თავ. ვაჩნაძის პატიოსნებასა და სინიდისზეა დამოკიდებული და ამ გვარ დამტკიცებას მხოლოდ სასამართლო და სასულიერო კონსისტორია თუ მოითხოვს. თავ. ვაჩნაძის სეკუნდანტებმა უპასუხეს, რომ თითონ ვერაფერს იტყვიან ამაზე, თავ. ვაჩნაძეს დავეკითხებით და შემდეგ წერილით შეგატყობინებთ პასუხსაო. და აი შინაარსი ამ წერილისა: „მოწყალეო ხელმწიფევ! თავ. ვაჩნაძემ, მოიფიქრა რა ყოველივე, გადასწყვიტა, რომ აქამდე გამოკვლეული არ არის მიზეზი ხმალში გასვლისა და საქმე ისევ წყვდიადით არის მოცული. ვიდრე არ გამოირკვევა ეს მიზეზები თავ. ვაჩნაძე შესაძლებელად არა სცნობს თქვენთან ხმალში გამოსვლას. თავ. თუმანოვი და ა. ბერშოვი“. ამას ისიც უნდა დავსძინო, რომ მამა-ჩემის მოსვლამდე თავ. ვაჩნაძესთან იყო შტაბს-კაპიტანი აგაბეკოვი და არა თუ უამბო, რომ ყოველივე ვიცი, არამედ ზოგიერთი დაწვრილებული გარემოებაც შეატყობინა. მე დავრწმუნდი, რომ ვიდრე სამსახურში ვიქმნები, თავ. ვაჩნაძესთან ვერაფერს გავხდები და სამსახურს თავი დავანებე.

(დასასრული იქნება)

დამაკვირდი

მგლოვიარობა არს მწუხარება სულისა.

იოანე

* * *

როდესაც გაგიხსენებ, რომ ადამიანი ვარ, სულით აღვმაღლდები ხოლმე.

ჟუკოვსკი

* * *

ტაღლანი მიდი-მოდიან, ეტეშიან ერთმანეთს, იმსხვრევიან და ნაპირად იბნევიან, თვით ზღვა-კი მაინც წინ მიისწრაფის.

ბაირონი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ადამიანისთვის საშიში და მავნებელი მცენარე თითქმის ყველგან მოიპოვება. სხვათა შორის ძლიერ საშიშია ერთ გვარი ხე, რომელსაც „დამაბრმავებელ“ ხეს ეძახიან (Excoecaria Agallocha). ეს ხე ინდოეთში ჰხარობს და ინდოელებსაც ძლიერ ეშინიანთ ამ ხისა. ცულს რომ დაჰკრავს კაცი ამ ხეს, ძლიერ საშიში და მავნებელი წვენი ამოსკდება, და თუ ადამიანის სხეულს მოხვდა, იმ წამსვე დასწვავს. უფრო საშიშია, თუ ეს წვენი ადამიანის თვალს მოხვდა. კაცი იმ წამსვე დაბრმავდება. ეს კიდეც არაფერი. თუ ამ ხეს ან იმის ფოთლებს ცეცხლი წაუკიდე, კვამლი ადამიანს მოსწამლავს და შეიძლება წუთი-სოფელსაც გამოასალმოს. აგრედვე ძლიერ მავნებელია ამერიკის მცენარე სუმახი. ამ მცენარის გამო ამერიკაში ერთმა სასამართლომ შემდეგი საქმე გაარჩია. ერთი ლამაზი ქალი სასაფლაოზედ წავიდა თავისის ნათესავის საფლავის სანახავად. იქვე ერგა სუმახის ხე და ქალს პირის სახე დაუსახიჩრა. ამ ქალმა სასაფლაოს ადმინისტრაციას უჩივლა და სასამართლოს სთხოვა—ამ ადმინისტრაციას ჩემს სასარგებლოდ 20,000 დოლლარი გადაახდევინეთო (დოლლარი 2 მანეთს უდრის). ადმინისტრაციამ დაამტკიცა, ეგ ხე ჩვენ არ ჩაგვირგავს, ქარმა გადმოიტანა მაგისი თესლიო. ევროპაშიაც ბევრია ძლიერ მავნებელი მცენარე, რომლის თესლი ამერიკიდგან გადმოიტანეს, რადგანაც სრულებით არ იცოდნენ, რომ ასეთს ლამაზს მცენარეს მავნებელი თვისება ჰქონდა. დასასრულ აღვნიშნავთ, რომ მანზანილის ხე, რომელიც სამხრეთ ამერიკაში და ვესტ-ინდიაში ჰხარობს, ჯერ არავისთვის არ მოუტანია ვნება, გარდა მეირბერგის „აფრიკანელ ქალის-

*) იხ. „ივერია“, № 206.

თვის“ და გერმანიის სახელოვანმა კომპოზიტორმა ამ ხეს უბრალოდ ცილი დასწამა.

* * *

ალისა კლენკსკი, რომელსაც რამდენიმე წელიწადი იმის გამოკვლევა-გამოძიებაში გაუტარებია, თუ რამდენი წელიწადი შეუძლიან ადამიანს იცოცხლოს, ამტკიცებს, რომ ყველაზედ დიდხანს ცოცხლობენ. ჩრდილოეთის ქვეყნების მცხოვრებნი, სადაც ზაფხულშიაც-კი სიცივეა, გვიან ბერდებიან. ფინლიანდიაში, მაგალითად, მრავალს შეჰხვდებით ასის წლის მოხუცს. სიცივეს გარდა ზღვაც კარგად მოქმედობს კაცის აგებულებაზედ. უკვე დამტკიცებულია, რომ ზღვაოსნები დიდხანს სცოცხლობენ და მრთელის აგებულების პატრონნი არიან.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატების ერთს ქალაქში სან-ლუისში ამას წინად დააარსეს ბავშვთა ბანკი. ამ ბანკს აზრად ისა აქვს, რომ ბავშვები ყაირათობასა და ფულის შენახვას მიაჩვიოს. ბანკის თანხა, განაწილებული 5,000 აქციად, შესდგება ამ ჟამად 25,000 დოლლარისაგან, მაგრამ, გაზეთების სიტყვით, მალე ეს თანხა 100,000 დოლლარამდე იქმნება აყვანილი. ბანკის აქციონერებად არიან გიმნაზიისა და სხვა სასწავლებლის მოსწავლენი. ამას წინად ბანკის წევრთა საზოგადო კრება იყო, რომელსაც 4,000 მოსწავლე-წევრი დესწრო. ამ ბანკის დამაარსებელი 11 წლის ბავშვია. კომიტეტის თავმჯდომარე, მდივანი და კასირი ჯერ 15 წლის არ არიან. საზოგადოდ ამ უცნაურის ბანკის ყველა მოსამსახურენი ბავშვები არიან, გარდა ბუჰგალტერისა. ბავშვებს ვერ შეუთვისებიათ ორნაირი ბუჰგალტერია. ამბობენ, რომ ამ მცირე წლოვანთ ძალიან კარგად მიჰყავთ ბანკის საქმეები.

ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი რუსულს ენაზედ: „Весеняя выставка зимнихъ плодовъ при Императорскомъ Кавказскомъ обществѣ сельскаго хозяйства“. ამ წიგნში ის გამოფენაა აწერილი, რომელიც ამა მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში იყო გამართული. წიგნს ბოლოში სხვა-და-სხვა ხილის სურათი აქვს დართული.

ხალხური ლექსები

(დიდ-ჯიხაიშში გაგონილი ს. სანებლიძეს მიერ)

სათამაშო ვაშლი მქონდა,
შენსკენ გადმოგიგორდა;
თუ ჩემს მეტი შეიყვარო,
რჯული ამოგივარდა.

—

დედალი და მოჩოთები,
მე შენ ვეღარ მოგშორდები.

—

წუმა მოვა, მასოლებსო *)
შენს თავს რა მომაშორებსო.

—

სარკეში რო ჩავიხედე,
რა ლამაზი ვყოფილვარო;
დედა ჩემო, შემომხედე,
გასათხოვრად შევქნილვარო.

—

ბიჭო წვერი მოგიპარსავს,
საარშიყოდ კისერიო;
ყურუმსაღო, ქალს არ ირთავ,
რას უყურებ, ვის ელიო?

—

ზემო ქვიტირს—ქვაბსა სჭედდენ,
ქვემო ქვიტირს კარდალასო;
„ბარიშნები“ სულელობენ,
თავს იყრიან ლადარასო.

*) ასე ამბობენ: მასოლებსო.

ყველიერში ყველი ვჭამე,
საადგომოდ ჩიტებიო...
ბებიას შენს დოუზრდია
ლოჭიანი *) ბიჭებიო.

*) დიდ კბილებიანი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 სექტემბერი.

ნიუ-იორკი. უოკერიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ მიზენოტის შტატში, უოკერიდგან 30 მილის სიშორეზედ, ცხარე ბრძოლა მოხდა შტატის ჯარსა, რომელსაც გენერალი ბეკონი უფროსობდა და ინდოელებს შორისაო. ამბობენ, რომ ბეკონი და ჯარის-კაცნი, რიცხვით ასი, მოკლულ იქმნენო.

ვენა. დეპუტატთა პალატამ შეიწყნარა იავორსკის წინადადება იმის შესახებ, რომ მთავრობის წინადადება, რომელიც ვენგრიასთან შეთანხმებას შეეხება, გარდაეცეს 48 კაცისაგან შემდგარ კომისიას. კომისიის წევრები პალატის ყველა დასის წარმომადგენელთაგან უნდა იყოს შემდგარი.

პარიჟი. „Figaro“ სწერს, რომ საფრანგეთის მთავრობამ მოსთხოვა მარშანს მოხსენება ფაშოდის დაჭერის შესახებ. ამასთან მთავრობა ინგლისს უკვე მოურიგდა. მოლაპარაკება მხოლოდ ამ მოხსენების მიღების შემდეგ დაიწყება.

პარიჟი. კრიტში მყოფ საფრანგეთის, რუსეთის და იტალიის ადმირალებმა ახალი ჯარი მოითხოვეს. რუსეთი, ინგლისი და იტალია, თანხმანი არიან იმისა რომ, ვიდრე სახელმწიფოთა ნოტაზედ პასუხს მიიღებდნენ ოსმალეთისაკან, საფრანგეთმა გაჰგზავნოს კრიტში 800 კაცი და ორი ზარბაზანი. ინგლისი ჯარს არ გაჰგზავნის რადგანაც, კრიტშიაც საკმაო ჰყავს.

ლონდონი. იმ ნოტაში, რომელიც სახელმწიფოთ პორტას გარდასცეს, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ოსმალეთმა ერთის თვის განმავლობაში კრიტიდგან ჯარი უნდა გაიყვანოს, ამასთან ჯარის გაყვანას ორის კვირის შემდეგ უნდა შეუდგესო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი 24 სექტემბერს ლიბავაში მობრძანდა.

წერილი რედაქციის მიმართ

—

მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც დახმარება ამოუჩინეს დ. ყვირილის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს წიგნებით, სახელდობრ: ბ-ნ ომაინ იოსელიანს, რომელმაც შემოსწირა 35 ცალი წიგნი და ერთი ჩარჩოში ჩასმული წმ. ნინოს სურათი, ღირებული 22 მ. 90; და ქსენია გაჩეჩილაძეს, რომელმაც შემოსწირა „ჯეჯილი“ 1896—1897 წლისა. იმედია, სხვებიც მიჰბაძავენ ამ კეთილს მაგალითს.

დ. ყვირილის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობა

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

ს. კ—ᲕᲘ. თ. კ—ᲗᲔᲚᲡ. თქვენი წერილები დაგვიანებულია.

ᲞᲘᲚᲘᲙᲝᲕᲡ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ. მარტო ეგ სოფელი ნუ გგონიათ აგეთი, სამწუხაროდ, საქართველოს თითქმის ყველა სოფელში მაგისთანა ამბავია.

დ. ᲧᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲡ. ჩვენ წერილობითი საბუთი გთხოვეთ და თქვენ მოწმეთა სიას იწერეთით. მაგისთანა საქმეში მოწმენი არ გამოდგებიან.

ძ. ძ—სი. მ. ᲒᲐ. არ დაიბეჭდება.

დ. Ხ—ი. Შ—Დ. „ჩვენის დროის კერძი“ არ დაიბეჭდება.

სოფ. ᲢᲚᲒᲐᲜᲘᲔᲠᲘ. ᲕᲚᲐᲓᲝ ᲒᲖᲕᲐᲜᲔᲚᲡ. მაგ შინაარსის წერილი, რომ თქვენის სოფლის ქალების შესახებ ცუდი რამ თქმულიყოს, ჩვენს გაზეთში არა დაბეჭდილა-რა. ვინც ამტკიცებს, რომ იყო დაბეჭდილიო, იმას საბუთი მოჰკითხონ და ტყუილი და მართალი მაშინ ადვილად გამოირკვევა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

დაიბეჭდა Ჯ ისეიდება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიაში

ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **ᲐᲛᲝᲦᲘᲡ, ᲜᲐᲗᲓᲔᲑᲐ!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

2) **ᲙᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.

(10—უ.—4)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲣᲠᲘ

ᲑᲝᲠᲜᲝ-ᲪᲘᲛᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲝᲜᲘ

Გ. Ფ. ᲘᲣᲠᲒᲔᲜᲡᲘᲡᲐ

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმაროთ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ᲤᲐᲡᲘ ᲗᲘᲗᲝ ᲜᲐᲭᲔᲠᲘᲡᲐ 50 ᲙᲐᲞ., 1/2 ᲜᲐᲭᲔᲠᲘ 30 ᲙᲐᲞ.

იყიდება ყველა საუკეთესო საოფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმოსავლეთ-კავკასიაში საოფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრიგნაკოთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან. (24—მ.—24)

წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის საგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიიბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვარისშვილს (მომრიგებელ მოსამართლეს ქალაქ თბილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, ხაქონლის და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება. მეფუტკრობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა, და ჩილინგროობისა (სლესარობისა.)

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისთვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირა-უქმეში კი სამი კერძი. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდგან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ-მამას აღარ დაებრუნებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგებ ექვსი ხელი საცვალი, ჰირისახოცები, ბალიში სპირები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი. ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

(3—უ.—3)

(11—მ—4)

ᲖᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ

სპილენძისაგან საგნების სახეხად დამზადებული მოსკოვის

რ. ᲙᲔᲚᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.

ქარხნის მიერ. გასასყიდად იპოვება ᲣᲙᲔᲓᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ დიდს ვაჭართან.

ᲐᲛ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ დამზადებულ ზეთითა და ფხვნილით გახეხილი (პილენძის ნივთები ახალ ნივთებზედ უკეთესად დაიწყებს ხილმეპრიალსა და ელფერებას. მყიდველი მუდამ უნდა გაფრთხილდეს და არ იყიდოს სხვა ამ გვარი რამ, რადგან ცუდის ღირსების ზეთი, უმთავრესად ნოტიო ჰაერში თავისით დაფხვნილი ვენის კირი (ე. ი. დაუნაყავი) სრულიად უვარგისია სახმარებლად და თუმცა სახარბიელოა თავისის სიაფით, ოგრამ ყოველივე ძალა გამოლეული აქვს (масло и порошокъ). (3—მ.—3)

изданіе газеты „Казбекъ“

пріостановленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ

ВОЗОБНОВЛЯЕТСЯ СО 2-ГО СЕНТЯБРЯ 1898 г.

принимается подписка

на общественную, политическую и литературную газету

„КАЗБЕКЪ“

Условія подписки:

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . 6 рублей.
Съ пересылкою иногороднимъ „ „ „ . . 7 рублей.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ ДВА руб.

Плата за объявленія:

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. } со строки
На 4-й „ „ 1 „ 10 к. „ „ 5 к. } петита.

Отдѣльный нумеръ 5 коп.

Подписываться можно съ перваго числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. »КАЗБЕКЪ“ у издателя С. І. Казарова. (3—у.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 25 го Сентября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ